საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED FROM THE OCCUPIED TERRITORIES, LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო
LEPL AGENCY FOR STATE CARE AND ASSISTANCE FOR THE (STATUTORY) VICTIMS OF HUMAN TRAFFICKING

KA030813068086720

საქართველო, თბილისი 0177, მ.თამარაშვილის ქ. N15ა; ტელ/ფაქსი: (+995 32) 239 53 50
15a M.Tamarashvili st. Tbilisi 0177, Georgia; Tel/Fax (+995 32) 239 53 50
www.atipfund.gov.ge

№ 07/1979 **02 / აპრილი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის
ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს
უფროსს, ეკატერინე ადამიას

ქალბატონო ეკატერინე,

მოგეხსენებათ, რომ სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) დაქვემდებარებაშია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებები (თავშესაფარი/კრიზისული ცენტრი), რომლებიც სადღეღამისო მომსახურებას უწევენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლებს/დაზარალებულებს/სავარაუდო მსხვერპლებს და მათზე დამოკიდებულ არასრულწლოვან პირებს. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთისა და სააგენტოს შესაბამის ბენეფიციართა და თანამშრომელთა დაცვის მიზნით სააგენტო გეგმავს საიზოლაციო ზონის მოწყობას თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარი), რაც გულისხმობს ახალი ბენეფიციარის ჩარიცხვის საჭიროების შემთხვევაში მის განთავსებას აღნიშნულ თავშესაფარში და მხოლოდ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ გადაყვანას სხვა თავშესაფარში. ამდენად, საჭიროებას წარმოადგენს რეკომენდაციების შემუშავება თავშესაფარში საიზოლაციო ზონის მოწყობასთან დაკავშირებით, ასევე სამოქმედო ინსტრუქციის მომზადება ბენეფიციარისთვის/თანამშრომლისთვის ახალი კორონავირუსის (COVID-19) ინფექციის დადგენის/ეჭვის გაჩენის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება არის 20-საწოლიანი (ზრდასრული და არასრულწლოვანი ბენეფიციარებისთვის), თუმცა, აღვნიშნავთ, რომ ეს 20 საწოლი გადანაწილებულია 2 სართულზე 8 ინდივიდუალურ (საცხოვრებელ) ოთახში. უფრო კონკრეტულად: პირველ სართულზე არის მხოლოდ ერთი საცხოვრებელი ოთახი (ბენეფიციართათვის), რომელიც ადაპტირებულია შშმ პირთათვის. 5 სამუშაო ოთახი თავშესაფრის პერსონალისთვის, 2 სასაწყობე ოთახი და 1 სამზარეულო. პირველ სართულზე ბენეფიციართათვის გამოყოფილია ერთი იზოლირებული საპირფარეშო და ერთი ადაპტირებული სველი წერტილი - საშხაპე და საპირფარეშო ერთად, პირველ სართულზეა ასევე განთავსებული ერთი საპირფარეშო და ერთი საშხაპე თანამშრომელთათვის. მეორე სართული მთლიანად ბენეფიციართათვის არის გათვალისწინებული და განთავსებულია 7 საცხოვრებელი ოთახი, 2 ერთმანეთისგან იზოლირებული საპირფარეშო და ერთი საბაზანო ოთახი 2 საშხაპით, ასევე - სამზარეულო. თავშესაფარში დასაქმებულია16 თანამშრომელი (უფროსი, ფსიქოლოგი, იურისტი, სოც.მუშაკი, ბუღალტერი, ძიძა, მძღოლი, დამლაგებელი, 4 მედდა (თითოეული 24-საათიანი მორიგეობის გრაფიკით ყოველ მე-4 დღეს) 4 დარაჯი (თითოეული 24-საათიანი მორიგეობის გრაფიკით ყოველ მე-4 დღეს). შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე დისტანციური მუშაობის რეჟიმზე არიან გადაყვანილი ბუღალტერი, იურისტი, ფსიქოლოგი, ძიძა. თუმცა, ეს თანამშრომლები, თავშესაფრის უფროსის მიერ შედგენილი მორიგეობის გრაფიკის მიხედვით, კვირაში ერთხელ (ან ორჯერ, საჭიროებისამებრ) მუშაობენ თავშესაფარში ჩვეული რეჟიმით.

ასევე მოგეხსენებათ, რომ სააგენტოს დაქვემდებარებაშია დიდი ზომის ინსტიტუციები (სააგენტოს ფილიალები: ხანდაზმულთა პანსიონატები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა

პანსიონატები, ბავშვთა სახლები). აღნიშნული ინსტიტუციები სადღეღამისო უწყვეტ მომსახურებას (მოვლა-პატრონობა, კვება, პირველადი სამედიცინო მომსახურება, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარება/ორგანიზება და სხვ.) აწვდიან შესაბამის ბენეფიციარებს (ხანდაზმულები, შშმ პირები, მზრუნველობამოკლებული ბავშვები, მ. შ. ჩვილები და შშმ ბავშვები), რომლებიც განსაკუთრებულ, მოწყვლად ჯგუფს განეკუთვნებიან. ამასთან, გაცნობებთ, რომ ამ დაწესებულებებშიც სველი წერტილები არ არის ინდივიდუალურად თითოეულ საცხოვრებელ ოთახთან და ბენეფიციარები სარგებლობენ საერთო სველი წერტილებით. იმის გათვალისწინებით, რომ დიდი ზომის ინსტიტუციებში (სააგენტოს ფილიალები: ხანდაზმულთა პანსიონატები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატები, ბავშვთა სახლები) მცხოვრები ბენეფიციარები განეკუთვნებიან მაღალი რისკის მქონე პირებს, აღნიშნულ დაწესებულებებში ინფექციის თავიდან ასარიდებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია სპეციალური წესების/რეკომენდაციების არსებობა. დამატებით აღვნიშნავთ, რომ მიმდინარეობს მზადება ამ დაწესებულებებში მომსახურე პერსონალის გადაბმით ერთ და 2-კვირიან სამუშაო რეჟიმზე გადაყვანის კუთხით (ეს პირები შექმნილ სიტუაციამდე მუშაობდნენ 24-საათიანი გრაფიკით).

სააგენტო ასევე ახორციელებს ,,სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში მოქმედი ქვეპროგრამების ადმინისტრირებას, როგორც მატერიალიზებული ასევე არამატერიალიზებული ვაუჩერების საფუძველზე, პროვაიდერი ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურების შესაბამისად. აღნიშნული პროგრამა მოიცავს როგორც 24-საათიან მომსახურებას, ასევე მხარდამჭერ და პრევენციულ სერვისებს. ბავშვებს 24-საათიან მომსახურებას აწვდის 56 ორგანიზაცია, ხოლო 34 დაწესებულება მოიცავს შშმ პირთა, ხანდაზმულთა და დედათა და ბავშვთა თავშესაფრების მომსახურებას. ამდენად, ამ შემთხვევაშიც საჭიროებას წარმოადგენს რეკომენდაციების შემუშავება და სამოქმედო ინსტრუქციის მომზადება, მათ შორის, ბენეფიციარისთვის/პერსონალისთვის ახალი კორონავირუსის (COVID-19) ინფექციის დადგენის/ეჭვის გაჩენის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ძალზედ მნიშვნელოვანია, ახალი კორონავირუსით (COVID-19) სააგენტოს ბენეფიციართა და თანამშრომელთა დაინფიცირების თავიდან აცილების მიზნით, შემუშავდეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში ინსტიტუციების საქმიანობაში გასათვალისწინებელი სპეციალური რეკომენდაციები, ასევე სამოქმედო ინსტრუქცია - ბენეფიციარის ან თანამშრომლისათვის ახალი კორონავირუსის (COVID-19) ინფექციის დადგენის შემთხვევაში მყისიერი რეაგირებისთვის. აღნიშნული გულისხმობს ასევე ისეთ შემთხვევებში რეგაირების წესებს, როცა დაწესებულების შიგნით დაფიქსირდება ინფექცის საეჭვო ან/და დადასტურებული შემთხვევა ბენეფიციარზე ან თანამშრომელზე ან/ და ცნობილი გახდება რომ რომელიმე თანამშრომელს შეხება ჰქონდა ინფიცირებულთან. ასევე, გთხოვთ, განგვისაზღვროთ სხვა მსგავსი რისკები და მოქმედების ინსტრუქცია.

გთხოვთ აღმოგვიჩინოთ დახმარება და ზემოთ აღწერილი დაწესებულებების (თავშესაფარი, ფილიალები) სპეციფიკის გათვალისწინებით მოგვაწოდოთ შესაბამისი რეკომენდაციები/ინსტრუქციები/სპეციალური წესები.

პატივისცემით,

დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მერი მაღლაფერიძე